

ზელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მოქმედების ქუჩასზე, შიოგვის სახლების წყ. მოდ., სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ღორთქვათაძის ბაბლო-ოთქვაში.

განცხადება მიიღება ქაბოულსა და რუსულს ენებზედ.



«ივერიის» ფასი

ერთი წლისა, გაგზავნილ გვერდებზე 7 მ. — ნახევარი წლისა . . . . . 3მ. 50კ. თითო ნომერი . . . . . « 15კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოწმებს დასაბეჭდელ გამოცემებში წერტილებს.

ს ა პ ო ლ ი ტ ი კ ო და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გა ს ე თ ი.

გამოდის ხუთშაბათობით

მსურველთ შუქდღიანთ გამოიწერონ «ივერიის» პირველს მკათათვიდამ ვიღრე მომავალ პირველს ინფრამ-დრ. ფასი ნახევარ წლისა ს ა მ ი მან. და ათი შაური. ტფილისში მცხოვრებთათვის ხელის-მოწერა მიიღება უფ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ქვემოთ დუქნებში, № 2. გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი შემდეგია: Въ Тифлисъ, въ редакцію газеты «Иверія».

პირად მოსალაპარაკებლად რედაქცია მიიღებს ოთხშაბათობით დილის ათი საათიდან ვიღრე შუადღის ორ საათამდე.

სამიხებელი: I. საქართველოს მატინე. «ივერიის» კორესპონდენტები ს. ასმეცლამ, ალექსანდიშვილი, იმერეთიძე. — II. საზოგადოებრივი მიმოხილვა. — III. საქართველო ანდრია მოცაქულის დროს. — IV. ცხადი და სიხმარი (დასასრული) ბეგურულიძის. — V. განცხადება.

საქართველოს მატინე

ახმეშა. «ივერიის» კორეს. აი განდა თითქმის ორი კვირა, რაც ციდან ნამიღ ადარ ჩამოვარდნილა. ბუნება აშკარად ცუდობინებს კაცს, რომ ახლა კი დადგა მწოვე წაფსული. ეს სიცხე მით უფრო საგრძნობელია კაცისათვის, რომ ბუნებას თითქო ნახტომი შეეშალა და ადრინახობიდან გააღვასკედ გადავიდა. ჯერ რომ დაბანდნულის ხის ქვეშ გრილაში და ნიაგსკედ ესე ცხედა, წარმოიდგინეთ, როგორ უნდა დააჭიროს კისერში სიცხემ საწყის მუშა-კაცს! ქქანდა ხოლმე წინა წელიწადებში მუშა კაცსა ერთი საშუალება, რომელიც ამლებინებდა წაფსულის მზის სიმწო-

გეში — ეს იყო ღვინო. ღვინო ავიწეებდა მას თავის მწარე ბედსა და გახედვით ამუშავებდა სიცხე ზანანაქებაში. ხომ გაგიგონათ — როგორღა ბანიაო, ღვინო კაცის ჯანიაო. მაგრამ წელს ამ «კაცის ჯანსაც» მოკლებულია ახმეცელი მუშა. ჯერ ხომ საზოგადოებრივი ღვინო ძვირია მთელს კახეთში, და ამ ახმეცაში უფრო გაძვირებულია მდუქნეების წყალობითა. თუ როგორ უნდა იყოს აქ ძვირათ ღვინო, მკითხველი წარმოიდგენს შემდეგიდგან: ის ღვინო, რომელიც თელავში ისეიდება ოთხ აბასათ, აქ არის რვა აბასათ თუნგი (25 გრესტი კი არის თელავიდან ახმეცამდე, მეტი კი არა!). აბა მითხარით, როგორ უნდა მისცეს გლეხმა თუნგში რვა აბასი და დააღვეინოს მუშასა? დარჩება და მემისი ფასი, რასაც ის მუშებს დააღვეინებს და აჭმევს? წელს ახმეცაში გერა ნახავთ მუშას ისეთს მდგომარეობაში, როგორც კვისაცვს თ. გ. ერისთავი ანდუყაფანის პირით:

«მერყოლიშვილი გაცოფებული, რვა ჯამისაგან გამეცლებული ცეცხლივით ყანას მოედებოდა, კაცი ყურებით გაგიჟებოდა.»

აი იქმნება ერთი კვირა, რაც აქ განიჭნა ქერები; შურის ყანებიც მზათ არიან და ელიან მხოლოდ მომკლებსა. მშვენიერი სანახავი რამ არის ესლა ჭინახულით დათესილი მინდვრები. გაჭნედავთ — მშვენიერი აბრასუძივით უბანახო ყანებია, რომელშიაც კაცი მკვრდამდე დაიმალება. დაჭებრავს ნიაგი და შინალით დაიწეებს სასიამოვნოთ დეღვასს. მხოლოდ ათასში ერთგან ნახავთ აქ წაქცეულს ყანასა, მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ აქ გადაეკლას უკედ ბალახსა. ახმეცელ ყანას

ძვირად გადაუყლის ბაღახი, რადგანაც აქ ქმარგლიან ხოლმე ყანებსა.

ახმეტაში შარშან მშვენიერი მოსაგალი იყო, ასე რომ სასოფლო ზურის მადანია ისევ ისე ხელ-უხლე-ბელია, რადგანაც სოფელს არ უჭირდა ზური და ამის გამო არაგის რა გაუცნიათ მადანადგან. მაგრამ წელს შარშანდელზედ გაცილებით უკეთესი მოსავალის იმედაა, თუ წიდამ არა დაუშავდა რა. ერთის სიტყვით, წელს ახმეტაში დიდი მოსაგალი შოგა. მაგრამ რა? ვის ხელში მიდის ის გლეხის ნა-წოგ-ნადაგი?! ეჭვ, რაღა უამბო მკითხველს, განა არ იცის! ამ წამთარში აქაურს მედუქნეებს სულ რომ ცოტა ვსთქვას, ეჭმებოდათ უკანასკნელი რვა თასი კოდი სულადი (ზური, ქერი და სიმინდი). ჯერ მარ-ტო ერთ მედუქნესა ქქონდა ხუთი ათასამდე კოდი. რას იზამდა სოფელი, რომ ეს ამოდელა მოსაგალი შინა ჭრებოდეს და არ ჩადიოდეს სომხების ჯიბეში?

სხვას ჯერ ხნობით ვერას გაცნობებთ ახმეტა-ზედა. ამას წინათ ახმეტას არე-მარეში (ესე ამბობენ) დაიკარგა ერთი გაჭარი ურთა ბეგრის ფარხით და ფუღითადა. ამ ურთისა ვერაფერი გაუგიათ რა ჯერეთ, მხოლოდ ცხენი ეზოვნათ დაბმული უნაგირ მოხდილი. თითონ ურთაც არა სჩანს არც ცოცხალი და არც მკვდარი. ამასუდ იმდენი რამე ისმის, რომ ვერ გა-არჩევთ, რომელი არის მართალი და რომელი ტყუი-ლი—ხომ მოგეხსენებათ სოფლები და ქვრივების ჭო-რები. იმ ურთაზედ გამომიება არის შეძგარი და იმედი მაქვს „ივერის“ მკითხველებს ვაცნობო, საქმის დაბოლოების შემდეგ, თუ როგორ გათავადება ეს საქმე ან თუ გამომჩინა გამომიება—რა მიწის მკელმა უკო ზირი ამ უბედურს ებრაელთა ტომისასა.



გუშინ საღამოს მოვიდა ერთი ახმეტური გლე-ხი ჩემთან და მეხვეწებოდა, ერთი თამასუქი დამიწე-რეო; ამოდლო უბიდგან ქაღალდი და მომცა. არ და-მაჯალა თამასუქის დაწერა და მოჭყვას, რომ ესე და ესე გაგვიმხელდა ცხოვრებათ; რომ მანეთი ავიდლოთ ვა-ლათ, აბაჩი მარტო სათამასუქო ქაღალდში გვეხარ-ჯებოდა. ეს რომ სთქვას გლეხმა, დაგხედე სათამასუქო ქაღალდსა და ფასი შაური ეწერა ზედა. ბოლოს

შევიტყე რომ ამ სათამასუქო ქაღალდებს გლეხები ვიდულობენ მედუქნეებისაგან, რომლებიც შაურთან ქა-ღალდს აბაზ თუ სამაშურის ნაკლებ არ ამდევნენ. მე ახმეტაში შევიტყე ეს ამბავი, მაგრამ, უეჭველია, რომ თუ ვველგან არა, ბეგრს და ძირულ ბეგრს ადგილს ავიღე უნდა იყოს, ე. ი. ან მედუქნეებსა და ან კერძო ზირებს გამომაქვთ ხაზინიდან სათამასუქო ქაღალდე-ბი და მამასისხლათა ჭყიდის გლეხებზედა.

ხო თუ ისე არა ჭეჯობია, რომ მამასხლისმა ერთბაშით გამოიტანოს ხოლმე ხაზინიდან სასოფლო ფულით ეს სათამასუქო ქაღალდები და დააწყოს კან-ცულიანრიაში, და აქედამ გლეხებმა იყიდონ ხოლმე ქრისტიანულ ფასად.



ჩვენ როდესაც „ივერის“ მკითხველებს მოვას-სენეთ, რომ სოფლებში სარბევლო ფულებს სულ მორ-ბეგლები სჭამენ დუქნებშია და რბევას ჭიანი ტყემლის ოდენა სარბელობა ვერ მოაქვს მართალი სოფლისა-თვისა. მაგრამ ეს არაფერია: ეს კიდევ თაფლი და შა-ქარია იმასთან, რასაც ეხლას მოგახსენებთ. მოგეხსე-ნებათ, რომ სოფელში მამასხლისსა და სუდიებსა აქვთ ნება გადაახდებინონ დამნაშავე გლეხებს სამს მანეთამდე ჯარიმას. გადახდილი ფული უნდა ჩაიწეროს ხოლმე „ჩინილში“ და იყოს დაცული სასოფლო კასსა-ში. ეს ესე უნდა იყოს, მაგრამ ახმეტელი მამასხლი-სისათვის ეს განონი არ არსებულა. ვისაც შეხვ-დებით ახმეტელ გლეხსა და აუხსნით, რომ მამასხ-ლისმა ჯარიმის ფული უნდა ინახოს და არა ხარჯოს, მოგიგებთ: მასმ რატომ ჩვენი მამასხლისი არ იქცევა ისეა. რა წამს წაგვართმევინ ჯარიმასა, მაშინვე ის და სუდიები დუქნისაკენ ჭეჯავენ თავსაო. ამას არ და-გიჯერებდით, რომ საქმიდანაც ისე არა სჩანდეს. აი რო-გორ: ამგე სოფლის ნაგვარი მტკიცედ მარწმუნებს, რომ ახმეტის სასოფლო კასსაში სულ არ მოიზრება ხუთი მანეთი ჯარიმის ფულიო. ეჭვ, უარტი რამ მჭირდეს გიგვირდეს, ანუ რასაკვირველია — ამბობს ჩვენი რუსთაველი.



ცოტა რამ ვურადღების ღირსნი არიან ახმეტუ-რი სანიტარები. თუ როგორ სინიღისინათ იქცევიან, გვიჩვენებს შემდეგ: ერთს გლეხთან მქონდა გუშინ



ღაზანაკი და იმან შემომხივლა, რომ თუძგა მოწერილობა ასე არის, რომ როცა ბეგრანზე დააკლდება კაცი, არ უნდა დაარბიონ, მხოლოდ დაკლებულის დღის ბადათ შემდეგ უნდა გაიყვანონ სამუშაოთა, მაგრამ ბეგრის უსტაბაშებმა (როგორც ეძახიან აქ სანიტარებს) ერთი დღე ბეგრანზე დაკლებისათვის დაძარიეს და დაკლებულის დღის ბადათ სამუშაოთა გამოიყვანეს. ძრეულ სასურველი და სასიამოვნო იქმნებოდა, რომ აქაურმა მმართველობამ ახმეტურის სანიტარების მოქმედებას თვალი გადაავლო: მე ნემსის ოდენას მოგახსენებთ და იქმნება აქაუმი ოდენაც ბეგრი რამ გამოჩნდეს ამათ მოქმედებაში.....



მოგაწეინეთ, მკითხველო, თავი ახმეტურის ახმეტობითა, მაგრამ ნება მომეცით ერთი კიდევ. დღემდის ახმეტელებს აქვსთ სასოფლო განცელარია შიგ დუქანში. დამთანხმდით, თუ როგორი გავლენა უნდა ქონდეს ამას მოსამართლეების მართლმსაჯულებაზე, თუ მოსამართლეები ცოტათი მსუნაგებიან არიან და უყვართ ეკლის ჩათუთქვა (და ეგეთებიც არიან ეხლა ახმეტის მოსამართლეები!).

ეხლა აზირობენ ახმეტელები სხვა განცელარიათა შესებებას და, მგონია, ისევ დუქანის ახლო.... ნუ თუ ასეა განგებული რომ ჩვენი მართლმსაჯულება დუქანზედ შორს არ უნდა წავიდეს?

1878 წ. 28 ივნის.

დ. რ.

პრეტპანნი. («ვერისი» კოლე.) ამ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ეხლა არიან არტაქსანი ანუ სხვა ახალი აღებული ქალაქები, კაცს რაღაც იმედი აქვს, რომ ბეგრის თვალის და გულის შემაქცევარს სავანს ნახავს, მაგრამ როცა კაცი ათვარიალებს იქაურობას, წინ წარბიელი ცხოვრების უდაბნო ქსვდება, და თუ ჩემსავით ხანდისხმნ კალამთან შექიშვება იცის, არ იცის გაშმაგებულმა საცადამ და რისგან დაიწყო—თავიდან თუ ბოლოდან, ტყავიდან თუ გულგვიძლიდამ? უგანროდ ნუ ვიქმნები, თქვენის მოთმინების ჭირიძე! ამ ჯერად არტაქსანის გარეგან სახეს გაცოდინებთ შეძლებისა მებრ, მებრე ნელ-ნელა გაცოდინებთ აქაურობის შიგნულე-

ბასაც. რა გვექმნება? ნათქვამია: «ინც ღამე ხნა, ისიც მოკვდა».

არტაქსანი, საზოგადოთ რომ ვსთქვათ, ამ წამს სამხედრო ქალაქია (ქალაქს რომ ვაშობო ცოტას ვცოდნავ) ჯარების ბანაკები თეთრის კარვებით, ჯარის მოძრაობა, სამხედრო მოსამსახურეების დეჟანტელების ჟღერა ბუკ-მუხიკის ხმაურობა განა მავას არ ამტკიცებს?

ღამაში მდებარეობა აქვს არტაქსანს—ის დგას ცოტა მაღლობზე. წინ გაშლილი აქვს მშვენიერი მწვანე ბაღებით შემოვლილი ვრცელი ჭალა-მინდორი, რომლის სიგშე იქმნება მთებამდის ოცდა ხუთი ვერსტი.

მტკვარი ქეოფს არტაქსანს ორ ნაწილად: ძველი და ვითომ ახალი; ეს ორივე ნაწილი გბელის ხიდით არის შეერთებული: ეს ხის ხიდი თათრების დროს ძალიან ფერუშანად ყოფილა, მაგრამ ჩვენებს განუხსლებათ და სასიერნო ადგილის მაგიერებს გვიწვს ეხლა. ბაზარი ძველ ქალაქშია. ვეკლანფრში ეტეობა, რომ არტაქსანი თათრის ქალაქია. ვიწვევლე ბედი ბაზარში, რომ ზირველად გამოველი. რომ დადის კაცი, იმავე დროს ფიქრობს: არ იქმნა, არ ჩავიფლო სადმე ტალახში და თრეკით ამოსავყვანი არ გავხდეო. მტკვრის მარცხენა მხარეზედ დგას კარგა მოზდილი ძველი ციხე, რომელიც სრულებით გაუქმებულია. კედლები ზოგან სულ ახალია და შენობა ამტკიცებს, რომ ეს ციხე ქართველების ნაშენია. ციხის ერთი კედელი ზედ მტკვარზეა, ასე რომ წყალი ზედ-მოდის. შიგნითა შენობები სულ დანგრეულია და ზოგან იმისთანა ნაშთია, რომ ეტეობა, რა შენობაც ყოფილა. ზედ ნაწერები ბეგრი ვეძებ, მაგრამ ვერსად ვერ ვნახე. კარებზე კი არის თათრული ზედ-წარწერილი. ეს ზედ-წარწერა გვამცნებს, რომ ეს კარები თათრებს განუხსლებათ. მეორე ნაწილში, ე. ი. ახალქალაქში უფრო განათლებულ ქსავსეა შენობები. აქ შესვლით ორ სამ სართულიან სახლებს ქეთვირისას. აქ მიღებულია ხის შენობებიც. ბეგრს ნახავთ ხის ორ სამ სართულიან შენობებს, როგორც ქართლ-იმერეთში. ყავანი არ იციან აქა. სახლები სწორე, მიწა წვრილი ერდოებით არიან დახურულნი. როცა წვიმა მოვა, ბანებზედ გაჩნდება მწავალი ტბები. წვიმის წყალი ბეგრსანს ვერ

მათემს ბანზე ყოფნას, ნელ-ნელა ჩაეშვა სტუმრად სახლის ჰატრონთან, და წვეთ-წვეთად ცემით შეაქცევს ხალხე მას ციურის ამბების მბობით. სახლის ჰატრონს ან იამებს ეს მოუწოდებელი სტუმარი, მაგრამ რა გაეწეობს! უნებურათ ისმენს იმის ნამბობს და მეძრე თავისით თითბრის თასათ ისტუმრებს გარეთ. სუფთა აქვს არცაჲსანს ჭავა. მაგრამ ის არის უბედურება, რომ ერთ დონეზე არ დგას ხალხე: ხან ცივია, ხან გრილია, ხან ცივი ქარი ქრის და ხანაც საშინლად ცხელია.

სამხრეთ-აღმოსავლეთით არცაჲსანს ჩამოუდის ჰატრანა მდინარე, რომელსაც აღაგულის წყალს ეძახიან, და უერთდება მტკვარს. ახალი ნაწალი თითქმის ნახევრად გაოხრებულია. ბრძოლის უძალ სახლის ჰატრონები შეშინებული გაქცეულან სოფლებში და სახლები დაჩხინათ უჰატრონოდ.

დუქნები აქ მალან ჰატრები სცოდნით; იმედუნებია, რომ ცოტადენი საქანელი და თვითან თეთრი ჩაღმინი ჰატრონი ძლივს თავსდებიან, და თუ მუშტარი მოეძატა, გატად უნდა გამომბანდეს. მცხოვრებლების მომტეხული ნაწილი თათრები არიან და ანთვინელი ფრანგები, რომლებიც ლაშანაკობენ სომხურს და ურეგენ ბეგრ ქართულ სიტყვებს. თათრები ახალციხის საათაბაგოდამ არიან გადმოსახლებულნი მაგრამ ქართული ენა სრულებით გადავიწყებული აქვთ. ახალციხელ და ახალქალაქელს სომხებს და ურებს რაიხვი არა აქვთ. საცა ესენი იქმნებიან, იქ რა სიკეთე ინახება. ყველაფრის საძვირება, რომის, კონიანის და სხვა ამისთანა სასიძულეებისა და მწკნის კარდა.

არცაჲსანის შენობებში, რაც დაჩხა, შესანიშნავია კაზანებში. სივრე აქვთ სამას ნაბიჯამდისი და ყოფილან თათრების დროს სააგად-მყოფოდ და გაზარდად. ახლაც იმაში თავსდება სააგად-მყოფონი, ტელეგრაფი, და სცხოვრობენ ექიმ-დოქტორები და გულ-შემატკივარი და-ძმები—წითელ-ჯვაროსანის საზოგადოებისა.

ს. ბავრელი.

1878 წ. 20 აგ.სს.

ა-ტაპანი, 25 აგ.სს. («ვერ.» კორ.) ჰატრონისა, როცა კაცი ჯერ პურს ბაზას, სოცრს ჩიჩი, ხილს გაკას და წყლს ტრპტურს უმასის, მაშინ სშირად მოსდის სასაცილო უმწვილური ცნობის მოყვარეობის აზრები: თუ როდის გაეხდები დიდი, ძალაღი, როგორც მამა, ან როდის შექმნება ისე გქელი წვერ-უღვაში, როგორც იმას აქვს; თუ რისაგან და როგორ გათდება კაცი და ან რომ გაიყიდოს, როგორ ელირება ერთი კაცი? მეც ბეგრ ჯერ მამლიდა ეს აზრები. ვიფიქრობდი: ვსთქვით ჯამს თიხისაგან აკეთებენ, კოვზს სისაგან, ქვას სპილენძისაგან ანუ გიდეკ თიხისაგან. კაცს? გიდეკ ვამბობდი—ვსთქვით სამი ვაშლი ერთ გროშად, ათი კვერცხი ხუთ გროშად, ერთი ქათამი რა მუხრად (მაშინ იყოფა იყო); ერთი პური რა.ს გროშად, რაი გამიყეთი რა გროშად. მაშ კაცა? ვიფიქრობდი ღრმად. გამდეკი ანუ გაღია არ მდინსებია, რადგან ბობოლას არა მუყავა. ამისთანა შემთხვევაში მე ჩემის თხრობით მივმართავდი ხალხე ბუბერასთან—დედის დედასთან. ჩვენ სახლში ყველასე ჭკვიანი ის მეგონა. შიშველ კითხვასე, თუ როდის გავიხდები—მიზასუხება, რომ მაშინ გახდებოდა დიდი, თუ ჭკვიანათ იქნებოდა (მე იმისგან უფრო ტუეილა ვისწავლე ვიდრე მართალი) მეორე კითხვას უუხრადლებათ დაეკლებდა, მესამე კითხვასე კი ჩემდა გასაოცრად მეტეზად ხალხე, რომ ცოცხალ კაცს ფასი არა აქვსო, უფასოა და რომ ვინმე მოინდომას უადვო ფასის მიცემას კერ შეიძლება.

წამოიდგიერთ რა ნაირად შევწუხდებოდი ხალხე ამისთანა გაურკვეველ პასუხსე!... ამ გვარის პასუხის შემდეგ მეღრმად ჩაფიქრდებოდი ხალხე და ვხმარობდი ჩემს უმწვილულ ღონეს და ძალას, რომ გამეგო, აზრით მანც, რა ელირებოდა კაცი. ბოლოს გადაწყვეტილი ხალხე, რომ უეჭველად თათსი მანათი უნდა ჭდირდეს მეტეზი. თათს იმეტომ ვიფიქრობდი, რომ არ ვცნოდი რამდენია ეს „ათას“ ჩემის აზრით კანუსა-სდგურული უნდა ყოფილყო ეს რიცხვი.

ახლა კი (ამ ომის დროს) ნამდვილად დავწმენდი, რომ მართლად კაცს ფასი არა ჭქვანია: ერთი კვერცხი, ბოთლი ღვინო მეტად ჭდირება ვიდრე კაცი.... არცაჲსანის საავთმეოკოში დღეს გადაიცვალა ერთი ახალციხელი—უფ. აბ. გადაიცვალა, მოკვდა, დამარხეს, — რა გამოკდა? აქ: ხალი არაფერი! განა ცოტანი გედეკიან დამარხებიან? განა

ცოტა დედა, ცოლი, ძმა, და შვილები თვალ-სუფლები? ბევრი, წასაკვირველია.

ახლა საქმე იმაში არ არის, რომ მოკვდა; სიკვდილი არაფერი. საქმე სიკვდილის მიზეზი განსაზღვრავს. ეს სინდრავი ენაცვალა ერთს «აბაზს» ესე იგი, ერთ აბაზად გაიყიდა წვალებით და ტანჯვით. უფ. აბ. იყო მოვჭრე და სტამბოლში დიდ ხანს ნამყოფი. როცა ომი ასტყუდა და არტყანნი აიღეს, მაშინ ის გადაბოვიდა არტყანში და ვაჭრობდა.

მის ნაკვარ ფურელებში, ვინ იცის საიდგან, შეკრულა ერთი ყალბი აბაზა. იმისაც ერთხელ ეს აბაზი უხაზოთ მიეტა სალდათისთვის ხურდაში; სალდათს უტყვინა აბაზის სიყალბე და წარუდგინა ბოროდნისათვის. პოლიციის მოხელეები დიდ ატყუების ოდენა საქმეს ისე მნიშვნელობას არ აძლევენ, როგორც ნემსის ოდენასა. თუ სადმე შენიშნეს მაგისტრისა საქმე, ეტყვიან, როგორც ქორი ქათამს რადგან ქორმა იცის, რომ ის ქათამი იმის მუცელს გაძლავებს... მაშინვე შედგება ფიცხელი გამომიება: ჭაი, როგორ და საიდგან მოხდა ესა?.. კაცი, რომელსაც უტხოვრია სათათრეში და მაგისტრისა წმინდათ თავის დღეში არ დაურთავს, წასაკვირველია, გაშეშდა და არ იცოდა თუ რომელ ერთ კითხვას უძღოდა მცენა პასუხი. კაცს ბრალი დავდა; დამწყვდიეს, მაღაზია დაუკეტეს—ვაჭრობა გაუჩერეს. საწყალს შიშ კარკალისგან სიყვითლე დაქმნათ. როცა საირულის ჩარა აღარა ჭეზნდა, მაშინ შეიყვანეს საავსთმოფოფოში და შეიყვანეს იმისთანა ალაგას, საცა იყო ათასი კენეს, ოხუტის სასადით აკათ-მოფოფებისა. კარობრიობის ჯანმრთელობის მზრუნველთ სრულიად არ უფიქრნიათ, თუ უბედურად რა გავლენა ექმნებოდათ ამ გვარ სურათებს. შინ არ მომიკვდა.....

ეს აკათ-მოფოფი ჩვენ ბებრებს ექმნება უფრო მალე მოკრინიათ. აქაური მკვიდრი მცხოვრებლები, გაიგეს ეს ამბავი თუ, შიშ-კანკალში არიან. ჯერ მათ ისე არ გაუფრინიათ ჩვენი ფურელები და რომ მიხვიდე სავაჭროდ, ფურელის მიტყვის დროს, სანამ თვრამეტ ჯერ აღჯახს არ დაგაფიცებენ რომ ყალბა არ არის, გულ-შევიდათ არ იღებენ ფურეს.

კაცს ღმერთი უფრავის მხრით არ დაჭკავდა: მართალია ეს კაცი უბრალოდ ენაცვალა ერთ ყალბ აბაზს და დასტოვა ორი ოხელი და ღარიბი ცოლი უნუგეშოდ, მაგრამ განხდა ერთი კეთილი კაცი და შეება მისცა მათ ძნელ მდგომარეობას....

ღმერთმა აცოცხლეს უფ. იასან ევსელიანი და გაამკვალეს ამისთანა გულ-კეთილი ქართველები, რომლებიც არიან მანუგეშებლები ბევრი ქართველთათვის...

უფ. ევსელიანის გულ-კეთილობას, პატიოსნებას და ქართველებისთვის თავგანწირულობას ყველა აქ ჯარში მყოფი მეომარი ღაღადობს. ოსები ასობით სტოკებენ თავიანთ ცოლ-შვილს და მოდიან იმისთან სამსახურში შესასუფლად. რომ ჭკითხოთ თუ რად მოდიან იქიდან, აქა სამი თემისთვის, გიზასუბებს:—«იძოტომ, სენი წერიმე, რომ ნაცლნიკი კარგი ხარ. იმისი სული წირმიე ისე, როგორც სვილი გიუურებ. ძლიან კარგი კაცი ხარ ყურა მაროი». თათრები იქა ყურა მაროს (შავ მაროს) უძისიან, და ყველა იმის მკვლას ჭფრავს. განა მაგისტრისა კაცის მზე საფიცრველი არ არის თუ?

ს. ბაერელი.

იმაერთი. (აგერ. კორუს.) მაღლობა ღმერთს, მოკრინით ამდენ ავდრებს, წვიმებმა, ბატონო, თავი მოგაბუზრეს; ვაი-ვაგვანით, როგორც იყო, დაგსთესეთ სიმინდი, მაგრამ რად გინდ? გათონხა კვლარ მოგვისეჩხების ამდენი წვიმისაგან, მართალია ათიოდე დღე იქნება, რაც წვიმა არ გვინახავს... რაც ძალი და ღონე გვაქვს ვერქარებით თარხას, მაგრამ აგერ ღამის გამოგვადოს; რაქნას კაცმა, არ ვიცი, სან წვიმა გვაწუხებს და სან გოლვა. იმედი ვი გვაქვს მინც მოსკლისა. იქნება ღმერთმა არ მოგვიძულეს და ისე ვაჭრებეს ხელში იქნებ არ ჩავგადოს, წლეგანდუფებ. შარშან, ბატონო, ცოტა არ იყოს, ზემო-იმერეთში ნაკლები მოსავალი განხლდათ. ამის გამო იმულებული შევიქნით გვეყიდა საზრდო. მაგრამ სად უნდა გვეყიდა? სადა, ბატონო, და სამეტკლოში. იქ წასულა ჩვენ ასო-ოროსი ფურთი სიმინდის სასყიდლად ხელს არ მოგვცემდა და ვერც წავედით. ამ შემთხვევით ისარგებლეს ვაჭრებმა. მითხანეს რვინის გზით ათას-ათასი ფურთობით სიმინდი და დაგვრკვეს დუქნებში. მთელი ზესტაფონი და ზოლ-სტანცია მიხრულა აივსო სიმინდით. განხდენ მუადველ-



ბიჭ, მაგრამ ვაი ამათ ვაჭკობას. ფუთი სიმიინდი ოთხ აბასათ გაანინეს, როგორც ერთგან, ისე მეროდგან. რას ვიზამდით, უნდა გვეყვიდა. გული გვიკვდებოდა, რა გვექნა არ ვიცოდით. ამ დროს გავრდა ხმა ჩვენში, ერთმა ყმაწვილმა გაცმა სიმიინდი მოიტანა და სხვასე ორი შაფრით უფრო იაფათ ჭყადისო. მამინე, ვინც გვიკვივით, მივიპროთეთ ამ ყმაწვილს გაცს და ორი-სამი კვირის განმავლობაში ათას-სუთასი ფუთი სიმიინდი მკეტი გაუსალეთ. ჩვენ არ ვიცოდით, მას რამე მოგება ჰქონდა, თუ არა, მაგრამ მისი სახელი ჩვენ არსდროს არ დაგვაგვიწყდება. ჩვენდა საუბედუროდ, ამ ყმაწვილმა გაცმა სიმიინდის ვაჭრობას თავი გაანება მისი შიგვ. დავრჩით ისე ვაჭრების ხელში... ასლას ვი იყარეს ამათმა ჩვენსე გულის ჯავრი. ფუთი სიმიინდი გახადეს ოთხ აბას უსადლთუნად. ასლას ვი უფრო ხშირ-ხშირად გვაგონდება სოფელ ჩვენი წინანდელი ნაწინობი ვაჭარი. დემოთო, ისე კეთილი გაცი გამოგვიჩინე ვინმე კიდევ. ნუ ჩაკეტოვებ ამ უღასა ვაჭრების ხელში...

ამას წინათ, ბატონო, ურეებს ქრისტიანის ყმაწვილის წამებას აზრებდენ, და ყველას ის ჭგონია აქ იმურეთში, რომ ყმაწვილი ნანდვილად ურეებისაგან მოკლულიაო. ამას წინათ რომდენიმე სახსერელი ურია დაიჭირეს ამ საქმის თაობაზე და ქუთაისში გაგზავნეს; საქმე გამოძიებულს :ქვეს ბინდობილი და რა გამოვა შევიტყუათ. აქ ლანააკობენ, ვითომ გუბერნიის დოქტორს უცვნიან, რომ ყმაწვილი ძალად მოკლულიაო.

გლეხი პავლია.

მოკვლავს მაგალითი, თუ რა ჭკობი იწყება ჩვენს ქვეყანაზედ საზღვარ გარეთ გასეთებში. ერთს ნემენცურს (ავსტრიელს) გაგაღინანს გასეთში\*). აი რას იწყება მისი ტყვიისელი გონრესპონდენტი ქიზიყელების ამბავის თაობაზედ:

„მთავარმმართველს ძალიან უსიამოვნო მდგომარეობა დაუხვდა, როდესაც დაბრუნდა. სხვა და სხვა ადგილებიდან მიუვიდა ამბავი, რომელსაც მოჭყვა შიში და მთავრობის მიერ მტკიცე ზომიერება. ეს ყველასეუდ უწინაჩეს შეესება სიღნაღის ამბავს. სამხედრო მინისტრის განკარგულებით სამაზრო უფროსებს მოუვიდათ ბასნება

სამი კვირის წინედ შეგრიბონ ხელმეორედ ყველა დრუყინები გავასიის მილიციისა. რადგანაც ეს მილიცია მსოფლოდ მარტში იყო დათხრენილი, ამიტომ ამ განკარგულებას მოჭყვა ყველგან უგმაყოფილობა, რომელიც ზოგიერთა მზრასში გადიქრა აშკარა აჯანყებად. ამ აჯანყებას ნამეტანი შიში მოჭყვა ქვემო და ზემო მახსანში. უგმაყოფილოთ გადიყვანეს თვისი სახლობა და მოძრაი ქონება ალაზნის აქით და შემდეგ წააგეს ხელი თოფი-არაღს. რამდენიმე დღის შემდეგ უფროსები იძულებულნი იყვნენ დაეთმოთ ადგილი დაიარაღებულთათვის. სოფ. ანაგის ახლოს გამოჩნდნენ 800 ინსურგენტი და დაიბურეს ყველა საომარი საყარულანი. სოფ. ბაკურციხეში ინსურგენტები იერიშით მიადგნენ ალაზნის მხედრობის უფროსს, თ. რაბულიანს, რომელიც გაიქცა; გრაფი ტიზენგაუსენი ვი ტყვეთ წაიყვანეს. თ. ვანხაძის შტაბის უმთავრესს სადგომს იერიშით მიუდგნენ და დიდი ზარალიც მისცეს. მსოფლოდ სიღნაღის გუშაგმა შეიმავრა თავი, რადგანაც დროზედ მიაშველეს რამდენიმე ასი ყაზახი. მეორე დასახმარებელი გუნდი გაგზავნილი იყო ტყვიისის გუბერნატორისა და თ. ჭავჭავაძის წინამძღოლობით.»

ეს ადგილი ზემოხსენებულის გონრესპონდენციის გადმოვიღეთ რუსულ გაზეთ «Голосъ»-იდან. შესანიშნავი ის არის, რომ გაზეთს «Голосъ»-ს მოჭყვას ეს ცრუ-შენტელაობა და თავის მხრით არავითარ სიტყვას, არავითარ შენიშვნას არ ართავს მას. რუსულს გაზეთს იმ გვარად მოჭყვას ეს ადგილი, თითქო ფაქტობს—ავგბი მე რამე ვისწავლო ქიზიყელების ამბავის შესახებ. ასლას «Голосъ»-ი დაიწყებს ჩვიღს—ზირში თითს უღებ ვერაზასაო და დასე მის სიბოროტეს, მკენეტსო.

სახლოტიყო მიმოხილვა

როგორც უწინ მოგასხენეთ, გონრესის ქმნილების სიმტკიცე ჯერ-ჯერობით ეჭვ-ჭეკმ არის და გადაწყვეტილებით ვერ იტყვას გაცი ომი მოჭყვა გონრესს თუ მშვიდობიანობა. მაგრამ ეს გარემოება, რასაკვირველია, ნებას არ ართმევს გაცს იქონიოს აზრი და მხედველობა გონრესის ქმნილებაზედ და მასზედ დაწოთულ გარემოებათა შესახებ. ამ მხრით დიქს საცნობის ის სხვა და სხვა მთავრედილება, რომელიც წარმოვა გონრესის მოღვა-

\*) Politische Correspondenz.

წლებამ თვითოეულის ქვეყნის საზოგადოებაში, რომდენათა იგი შთაბეჭდილება გამოისატება მწერლობაში.

რომდენათა: ცქსურსთ—რსმალის ომიანობაში ჩანთუ-ლი იყო ჩჩგრულთა განთავისუფლებას\* რსმალეთის მიულ-ბელობისაგან, იმდენად სამუდამოდ განდაწვევტილია. ესლა ბალკანისის ხალხთა შორის ზოგიერთნი თავის ან-ბარსუდ არიან მიშკებულნი, ზოგიერთნი უნდა განდენ სხვა ევროპიელას ჰატრონის ქვეშეგრდომნი. მაჟამტებათ ჩჩგრულთა დღეგრქელობა და კეთილ-მდგომარეობა, თუ არა—დმეტამა უწყის. მაგრამ ერთი გარემოება კი უშკვე-ლია: თუ კიდევ ასტყდა ომიანობა, ამაში «ჩჩგრულთა დაცვას» არკითარი ადგილი აღარ ექმნება, და მიზეზი, მობრეგებულ უნდა იქმნეს სხვა რამეში. ბედნიერნი იქმნე-ბიან ბალკანისის მცხოვრებნი თუ უბედურნი მათი მდგო-მარეობა იმ გვარადვე იქმნება მოწყობილი, როგორც: დაც მოწყობილია სხვა ევროპის ხალხის ცხოვრება. მამსა-დამე ომიანობა მათთა განთავისუფლებისათვის ცოტად თუ ბეგრად იმედით უნდა გაუწყდეთ მათთა უსაყვარლესის წადილის შესასკე. მართლად და რადას უნდა დაართვან სლავიანთა მარადი «მიდრეკილება უფროს მომშეთადმი,» და სხვ.? იქმნება ამიტომაც გაბრახებულან ზოგიერთა გასეთები გონგრესის გადაწვევტილების თაობასუდ. ან კი როგორ არ უნდა გაბრახდენ, როდესაც ნათლად ჰქუ-დვენ, რომ ევროპა ხელიდგან აცლის სლავიანებს და მით აცლის აგრეთვე კარგ შემთხვევას უოკვლ გვარის დაზურბობისას, გარეშე მდგომარობის გავრცელებისას და სხვ. აცლის და მქრე როგორ? თქვენ ხომ კერძო ანგა-რში იფიქრშიაც არა გქონიათ, — ეუბნება თითქო ევრო-პა, — თქვენ ხომ დღე და ღამე მარტო ის გაგონდობო-დათ, რომ როგორმე საწყად სლავიანებს ხელა მიუ-მართათ და რსმალეთის მტარკადლობასგან დავისნა-თ. აი ესლა ხომ დასხნილნი არიან, და თქვენის უანგარო გრძნობისათვის ესეც საკმარისია....

რსმალეთის არსებობა ევროპაში დამოკიდებული იყო, როგორც მოგვსენებათ, ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთშორის ცილობასუდ და შურისძიებასუდ. დიდი ხანია ევროპაში რსმალეთის ხსენებაც არ იქმნებოდა, ეს ცილობა რომ არ უფილიყო და აგრეთვე შიში ევრო-პის ომიანობის ატეხისა, რადგანაც რსმალეთის გა-ქარწყლება იმავე დროს უნდა უფილიყო მისის მეშვედ-რეობის დაუთვა სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის.

ბელისის გონგრესმა ოგისის ორგანი საქმე: ერთის მხრით რსმალეთის გაქარწყლება ევროპაში და მეორეს მხრით ევროპის მშვიდობიანობის დაცვა. რადა თქმა უნდა, რომ მხელი საქმე უგისრისა გონგრესს, და ამიტომ ბევრი სამდურეკაციც უნდა მოჭვეს მის გადაწვევტილებას. ასეც მოხდა, მით უფრო, რომ გონგრესმა ჰერ-ჰერობით მარტო ევროპის რსმა სახელმწიფომ (გარდა რუსეთი-სა და მცირე სახელმწიფოთ, როგორც მაგალითებრ სა-ბერძნეთი, სერბია, ჩეხოსლოვაკია) ინგუნა მსხვილ-მსხვი-ლი ლუკმა — ავსტრიაში და ინგლისში. თუმცა გონგრესის მოღვაწეობას ეძახიან რსმალეთის შირველს გაუოფას, რომელსაც უნდა მოჭვეს მეორე და იქმნება მესამეც; მაგრამ მანც რაც ესლა მოხდა იმაზედაც ბევრი სამდურ-რავი იხმის, მეთქი. რა ინგუნა ავსტრიაში — მოგვსენე-ბათ კიდევ. რაც შეეხება ინგლისს, მას თუმცა შირდაშირ გონგრესიდან არა გამოუტანია რა, მაგრამ გონგრესის გარედ კი კაი ლუკმა გამოგლიჯა რსმალეთს. ამისათვის ინგლისმა იხმარა უცნაური და დიხს-შესანიშნავი რსტა-ტობა. გესსომებათ ის შირშეკრულობა ინგლისსა და რუსეთის შორის, რომელიც გაქვეყნა გასეთმა „Globe“-მა და რომელიც დადგენილ იქმნა ვიდრე გონგრესი შეიკრი-ბებოდა. გესსომებათ აგრეთვე, რომ ამ შირშეკრულობის ძალით ინგლისმა შირობა მისცა რუსეთს ბათუმის შესა-სკე არავითარ წინადმდებობას არ გაუწევ გონგრესშია, თუ სხვა სახელმწიფოანი არას იტყვიანო. ესლა გამომხდა, რომ ინგლისს რსმალეთთანაც შეუკრავს შირობა, რომლის ძალით, რსმალეთმა უნდა დაუთმოს ინგლისს კიბრის კუნძული. საქმე მდგომარეობს შემდეგში: როდესაც ინგ-ლისს ზემოსსენებულ შირ შეკრულობასუდ მოუწყობა ხე-ლი, ლარდ-ხალისბერის გაუტყვინა ლეიტენანტის (ინგლისის ელჩი სტამბოლში) ჟებეშ, რომელსაც მო-სსენებულა, რომ რუსეთი, როგორც ეტყობა, ბათუმსუდ სელს არ აიღოსო. ეს გარემოება, ამბობს ჟებეშა, ინგლისისათვის სულ ერთი არ არისო, კიდევ რომ დარწმუნებული იყოსო, რომ ბათუმისა, არტაქანისა და ყარსის შემდეგ რუსეთი სხვა ადგილებსაც (მცირე აზია-ში) არ წასწავდება. რაც უნდა იყოს, ამ სიმაგრეების დაჭერა რუსეთის მიერ თვით აზიის რსმალეთის დარღვე-ვას მოასწავებსო. რსმალეთის მიულბელებობის დაცვის-თვის მცირე აზიაში მხოლოდ ერთი საშვალება სუუქვს: ერთმა რომელიმე მღერმა სახელმწიფომ უნდა იგის-

რასაც თოფ-იარაღით დაუხვდეს ყველას, ვინც კი სამა-  
 ლეთის სამეფოებელში შემოვატყდება. ამისათვის ინგ-  
 ლისის ჯარის სიხლადე ურბოვ ან იქმნებოდა, და ამ  
 ჯარის სადგომად უფრო კიბრის გუნძული მოუხდებოდა.  
 ეს გუნძული ისევე სამალეთის მოფლობელობის ქვეშ დაწ-  
 ნებოდა და ყოველი შემოსავალი, გარდა იმისა, რაც  
 მმართველობის დასწავლად იქმნებოდა, სამალეთის  
 შემოსავლის ხაზინაში. ამისთანავე ღორდ-საფასბურის  
 შეუთვლია ღვირდისათვის, სამალეთის მთავრობის ამის  
 თანხაზედ პირობა შეაკვირვიან ინგლისთანა. სამალეთ-  
 თი მამინკე თანხმა გამხდარა და შემდეგ პირ-შეკრულ-  
 საზედ მოუწერა სული:

«თუ ვინცდაცა რუსეთმა ჩივიდა სულში ბათუმი,  
 ან ატაქანი, ან ყარსი (ან სამივე ერთად), და თუ ვინ-  
 ცობა შედეგში სინთქის სხვა სამეფოებელის დახურ-  
 ბაც დაპირა, ინგლისი მოვალე, შემწეობა მისცეს ხან-  
 თქარს თოფ-იარაღით. ამის სამაგიეროდ ხანთქარი  
 აქლეს ინგლისს პირობის მოახდინოს თვის ქვეყანაში  
 ჯერჯერან ცვლილება რათა უკეთეს ფესზედ დაეყნოს  
 მმართველობა და ხელი მოეძარტოს ქრისტიანთა და  
 სხვა საწმენკების ქვეშევრდომთ; გარდა ამისა ხანთქა-  
 რი უთმობს ინგლისს კიბრის გუნძულს, რათა შეძლები-  
 ნოს მას მოვალეობის (ე. ი. სამალეთისთვის დახმარება)  
 აღსრულებს. » თუ ვინცდაცა რუსეთი რადისზე უგანგე  
 დაუბრუნებს სამალეთს შეძენილს ადგილებს, ეს პირ-  
 შეკრულობა გაუქმდება და ინგლისელები დასტოვან კიბ-  
 რის გუნძულს. » ეს პირ-შეკრულობა 4 თიბათქს.  
 (26 მაისს) წავითხულქმნა ინგლისის პარლამენტში. მი-  
 ნისტრმა კროსმა დაუმტა კიდე შედეგთ: ურდგანაც  
 ესაა, კონგრესის განხილვას ძალით, სუფევს კიდევ ის  
 გარემოება, რომელსედაც დამკადებულა მოსხენებული  
 პირ-შეკრულობა (ე. ი. რადგანაც კონგრესმა არგუნა რუ-  
 სეთს ბათუმი, ატაქანი, ყარსი), სამალეთის მთავრობამ  
 გამოსცა ბძინება, რომელს ძალით ინგლისს ესავე ეძლე-  
 ვა კიბრის გუნძული. ამის თანხაზედ ინგლისის მთავ-  
 რობამ მოახდინა კიდევ ჯერჯერანი განკარგულება და  
 გუნძულის მმართველად დანიშნა უფ. უოლსლეი. » რუს-  
 ტობაც ეს არის!

კიბრის გუნძული მდებარებს მცირე აზიის ახლას,  
 ხმელეთთა შორის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის გუთხეში.  
 ეს გუნძული დარს-შესანიშნავია, რეგორც ბუნების

სიმდიდრით და სიუხვით, აგრეთვე თვის ადგილ-მდებ-  
 რეობით, რომელს ძალით მას მოფლობელს შეუძლიან  
 მტკიცედ ეჭაროს თვალ-უწი ერთის სუფვის ახსარეწ,  
 მეორეს მხრით მცირე აზიაში. თუ კიბრის ამ ჟამად და-  
 ცრემულია და მისი სიმდიდრე რისად მიგლებულია, მაგრამ  
 ინგლისელები ძალი უზატრონებენ.

სემოსხენებული პირ-შეკრულობა კიბრის თანხაზედ  
 რომ გამოცხადდა ელდა ეცათ, მაგალითებრ, საფრანგეთს  
 და იტალიას. რეგორც რუსთ-ინგლისის სულ-შეკრულ-  
 ბამ გააკვირვა საფრანგეთი, ისე ამ უახსარეწელმა პირ-  
 შეკრულობამ. ორივე შემთხვევაში ინგლისმა უღალატ-  
 თვის წინ-პირველ პოლიტიკას აღმოსავლეთის საქმის  
 თანხაზედ. ინგლისი სულ იმას იძინდა, რომ სამალეთი  
 სულსებელი უდა და რჩესა, ან არა და, თუ მისი  
 უწინდელი მდგომარეობა შეუძლებელია, მისი შეცვლა  
 შეუძლიან არა თვითოეულ სასულიწაფოს ცალკე, არა-  
 მედ მთელს ევროპას საერთოდ. ესაა კი ინგლისმა  
 თავის ნებით არავის დაუგოთხავად \*) ლუკმა გამოტკლი-  
 ჯა სამალეთს. გარდა ამისა იტალია და საფრანგეთი  
 გულ-ნაწყენნი არიან კიბრის თანხაზედ, რადგანაც სძუ-  
 ლეთთა-შორის ზღვაში მათაც აქვს თვისი საკუთარი  
 საზღებლობა, რომელსაც დიდ ვნებას უქადის ინგლისის  
 უზირატესობა ამ ზღვაში. საფრანგეთის უმთავრესი გა-  
 სეთები პირ-და-პირ ამობენ, რომ ინგლისი თვის პირ-  
 შეკრულობით დიდ მოვალეობას კისრულაბს და აგ-  
 რეთვე დიდ მსახურს გეზსაცა.

თვით კონგრესის მოდგწეობაზედაც მრავალი სამდუ-  
 რავი ისმას. მაგალითებრ, ისმის სამდურავი ბესსარაისის  
 შესახებ, რომელიც რუსეთს მისცეს თვით მცხოვრებთა  
 დაუგოთხავადა. ისმის უგუსოფილება აგრეთვე იმაზედ,  
 რომ კონგრესმა საკმაოდ არ აუსრულა საბერძნეთს მისი  
 საწადელი და მით სიმტკიცე მოაკლა თავის გარდაწე-  
 ტილებს, რადგანაც ადრე თუ გვიან ბერძენები მაინც და  
 მაინც თავისას გაიტანენ.

— ბერძანის სასამართლოს განუწილავს. ჭედლის  
 საქმე და გარდაწეწეწეწე მისთვის სიკვდილით დასჯა.  
 რაში მდგომარეობს საქმე—ცოტად თუ ბერძნად მოგუსუ-  
 ებათ, ასე რომ ბრძედებელის ოქმის მოყვანა საჭირო

\*) კიბრის თანხაზედ კონგრესს არგუნათა ლანარე არა  
 ქქონია.



არ არის. მოგვსენებათ აგრეთვე, რომ ჭედელმა წინა გამოცემაში თუმიცა აღიარა დამაინის გასროლა, მაგრამ სთქვა, რომ ჩემ თავს ვერალო ; სიგლასაკემ სიტყვებზე გამოვირჩა და მდიდარისა, მამდარის ხალხის წინაშე ვისურვე თავის მოკვლას. ბრალდებულის ოქმის ვითვისის დროს ჭედელი იჭრებოდა მშვიდად და გულადად.

სასამართლოშიც ჭედელი სულ იმაზედ იდგა, რომ ტყუილ უბრალოდ მამიგონეს იმპერატორის მოკვლის სურვილია. ბრალდებულის მოსარჩლე სტდილოზბოდა გამოვეყნა ჭედელი, როგორც მსხვერპლი სოციალ-დემოკრატთა ქადაგობისა, რომელმაც გაუწვიტა ჭედელს ყოველგვარი პატივისცემა უფროსთადმი. იგი განდაწინააღმდეგე საზოგადოებისა, თვისი სახლობისა, თვისი თავისა. სიტყვებისა და მის შიშის აღარავითარი გავშინი არ სურებოდა. თავის-თავის მოკვლა მისთვის უფრო შესაიერი საშუალება იყო ვიდრე სელმწიფის მოკვლა. ჭედელის სწავლითი მდგომარეობა იმ გვარია იყო, რომ საკვირველი არა არის რა, თუ ისურვა მან თავის მოკვლა «ამ წუთის სოფლის ძლიერთა» წინაშე. ერთის სიტყვით მოსარჩლე ცდილობდა ეჩვენებინა ბრალდებულობის სისუსტე ჭედელის დანაშაულობის დასამტკიცებლად, უწინაჲ უცდია ჭედელ თავის-თავის მოკვლა.

ადოკატის სიტყვის შემდეგ, თავმჯდომარე მიუბრუნდა ბრალდებულს და ჭკითხა—ნამ არას იტყვიო თავის გასამართლებლათა. ჭედელმა უპასუხა: «მედილობელი განლაგარ, საჭირო არ არისო.» ჭედელი გამოვიდა სასამართლოდამ იმ გვარითვე მშვიდი და პირმდიმარე, როგორც განხილების განმავლობაში იყო. შუადღის სუთის ნახევარზედ გამოაცხადეს სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლის ძალით ჭედელი გამტყუნებულ იქმნა სახელმწიფოთის დღატობაში და მიტყუულ სიკვდილს. ბოლოელი რომ გაუბეს, ჭედელმა სთქვა: ეს ცერქმინის სრულიად საჭირო არ არისო, რადგანც დიდის სიამოვნებით წავალ ციხეშია და სვალვე რომ დამხარხარო არას ვიტყვიო. შემდეგ დაიძასა ზეაუმარჯოს კომმუნისა! და გამოვიდა სასამართლოს სასხლედამ.

საქართველო ანდრია მოციქულის დროს.

